პრინციპული მნიშვნელობის გამარჯვება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (მოსკოვი) 1:0.

თბილისი: იმნაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, დარასელია, სვანაძე, სულაქვეიძე, ჟვანია (პაიკიძე), ცავა, შენგელია.

მოსკოვი: გონტარი, გოლოვნია, ტოლსტიხი, კაპუსტინი (მატიუნინი), ???(ტყებუჩავა), მინაევი, ??ვი, აჯოევი, გაზაევი.

მსაჯი: ა. ტემეტევი

პირველი სვეტი არ იკითხება!

სულ უფრო და უფრო გაუმჯობესოს სატურნირო მაჩვენებლები. ამჟამად ურიგო მდგომარეობა არა გვაქვს, კარგი პერსპექტივები და პოტენციური შესაძლებლობანი გაგვაჩნია. ამიტომაც ერთ-ერთი მეტად პრინციპული იყო მატჩი მოსკოვის "დინამოსთან". აქ ჩვენს გუნდს სრული უპირატესობა ჰქონდა მეტოქესთან. თუ გაზაევის რამდენიმე გარღვევას არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც ჯერ კიდევ შუა მინდორში, საჯარიმო ხაზამდე იქნა ლიკვიდირებული მცველთა მიერ, მოსკოველებს არსებითად არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ. ისინი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში იყვნენ იძულებული დაცვის რიგები გაეძლიერებინათ ნახევარმცველთა ხარჯზე. მასპინძლები უტევდნენ ფართო ფრონტით, მოპირდაპირე კარის იერიშებში თავდამსხმელთა გარდა სისტემატურად მონაწილეობდნენ დარასელია, სულაქველიძე, სვანაძე და ხელსაყრელ მომენტებში - ჩივაძეც.

გოლი, რომელიც შენგელიამ მე-19 წუთზე გაიტანა, სწორედ სულაქველიძის აქტიური იერიშის შედეგი იყო. მან შუა მინდვრიდან ზუსტად გადააწოდა შენგელიას, ამ უკანასკნელმა დაიხსნა თავი მცველებისგან და გაანგარიშებულად გადაუგდო თავს ზევით ბურთი კარიდან წინ გამოსულ გონტარს - 1:0.

მოსკოველებმა ვერც მეორე ტაიმში შექმნეს რამდენადმე მაინც ინტენსიური კონტრთამაში. გაზაევის მანევრებს უფრო დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდა, რეალური ხიფათი მას არ შეუქმნია. აჯოევი და ლატიში უმეტესად მინდვრის სიღრმეში იბრძოდნენ, ვინაიდან ნახევარდაცვის ხაზს ძალიან უჭირდა. ამის შედეგად კი საერთო უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ. მოსკოველთაგან თავი გამოიჩინა მხოლოდ მეკარე გონტარმა, რომელმაც ზედიზედ აიღო ძნელი ბურთები შენგელიას, დარასელიას, ჟვანიასაგან. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მოსკოველთა მთელი გუნდი ისევ მეკარის იმედით იყო და თუ თბილისის "დინამო" მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას დასჯერდა, ეს პირველ ყოვლისა გონტარის დამსახურებაა, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში ჩვენმა ფორვარდებმაც არაზუსტად დაარტყეს კარში.

მოსკოვის "სპარტაკთან" მეტად საპასუხისმგებლო მატჩის წინ თბილისის დინამოელებმა საიმედო განაცხადი გააკეთეს კარგი თამაშით.

ბ. ქორქია.
"ლელო", 17 ივლისი, 1982 წ.